



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №122/17

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2017 წლის 11 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №122/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან 2016 წლის 2 სექტემბერს -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლეს, -- --, მის წარმოებაში არსებულ -- -- საქმეზე მიმართა განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე. აღნიშნული დავა სასამართლოს მიერ 6 წელია იხილება და ამ პერიოდის განმავლობაში მის ანგარიშებს ადევს ყადაღა, რამაც გამოიწვია ზიანი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2016 წლის 2 სექტემბრიდან 9 თვის გასვლის შემდეგაც კი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე უმოქმედოა განცხადების მიმართ. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა გამოიხატება მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების

შეუსრულებლობაში, ასეთი გადაცდომა მდგომარეობს ასევე საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაშიც, ვინაიდან მოსამართლემ დაარღვია ყოველგვარი ვადა, რაც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო -- --  
- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ასევე საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

2011 წლის 12 დეკემბერს, -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების ---  
-, ---, --- და --- მიმართ, იჯარის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2013 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოიშალა -- -- და -- -- შორის 2008 წლის 1 ივნისის ზეპირი ფორმით დადებული იჯარის ხელშეკრულება, --- --- სასარგებლოდ დაეკისრა 151 026.90 ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება 2014 წლის 13 მაისს მხარეთა მიერ გასაჩივრდა -- სააპელაციო სასამართლოში.

-- -- სააპელაციო საჩივარი, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- --, განსახილველად მიიღო 2014 წლის 22 ივლისს, ხოლო -- -- სააპელაციო საჩივარი - 2014 წლის 25 ივლისს.

-- სააპელაციო სასამართლოში 2014 წლის 7 ნოემბერს გაიმართა სასამართლოს სხდომა, რომელიც მორიგების მიზნით გადაიდო 2015 წლის 22 იანვარს. 2015 წლის 22 იანვარს სხდომა არ ჩატარდა (მიზეზის შესახებ ინფორმაცია საქმეში არ დევს).

შემდგომი სხდომა ჩატარდა 2015 წლის 23 თებერვალს, მორიგების მიზნით სასამართლოში საქმის განხილვა ახსნა-განმარტების ეტაპზე გადაიდო 2015 წლის 23 მარტს.

2015 წლის 23 მარტის სასამართლო სხდომა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება მიზნით გადაიდო 2015 წლის 18 მაისს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2015 წლის 18 მაისის სხდომა გადაინიშნა 2015 წლის 1 ივნისს (18.05.2015 წლის ცნობა).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2015 წლის 1 ივნისის სხდომა გადაინიშნა 2015 წლის 3 ივნისს, არასრული შემადგენლობის გამო (1.06.2015 წლის ცნობა).

2015 წლის 3 ივნისის სხდომაზე, მოსამართლე -- -- დანიშნა სასაქონლო ექსპერტიზა, საქმე გადაეგზავნა ექსპერტს.

2016 წლის 5 თებერვალს (8 თვის შემდგომ), სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან საქმე განსახილველად დაუბრუნდა -- სააპელაციო სასამართლოს და იგი განსახილველად გადაეცა მოსამართლე - -- --, რომელმაც განაახლა კონკრეტული საქმის სამართალწარმოება და სხდომა დანიშნა 2016 წლის 20 მაისს.

საქმეში არსებული 2016 წლის 20 მაისის ცნობით დასტურდება, რომ სხდომა გადაიდო 2016 წლის 10 ივნისს, არასრული შემადგენლობის გამო.

საქმეში არსებული 2016 წლის 10 ივნისის ცნობით დასტურდება, რომ სხდომა გადაიდო 2016 წლის 6 დეკემბერს, არასრული შემადგენლობის გამო.

2016 წლის 2 სექტემბერს -- -- განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს -- --, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე.

2016 წლის 6 დეკემბერს გაიმართა სასამართლო სხდომა, რომელიც შემდგომ გაგრძელდა 2016 წლის 21 თებერვალს, რომელიც მორიგების მიზნით კვლავ გადაიდო 2017 წლის 11 აპრილს, ხოლო შემდგომი მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2017 წლის 23 მაისს. ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 20 ივნისს.

2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

-- -- 2016 წლის 2 სექტემბრის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე მოსამართლემ განიხილა 2017 წლის 17 ივლისს და არ დააკმაყოფილა.

-- -- საკასაციო საჩივარი ამ ეტაპზე იხილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია

განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grande v. Italy*, §55; *Papachelas v. Greece*, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Human v. Poland*, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania*, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*König v. Germany*, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (*Pafitis and others v. Greece*; §93; *Tiece v. San Marino*; §31; *Sürmeli v. Germany*, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (*Frydlender v. France*, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (*König v. Germany*; §98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- --, წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

მოსამართლე -- --, სამოქალაქო საქმე განსახილველად გადაეცა 2016 წლის 5 თებერვლიდან, როდესაც საქმე სასამართლოში დაბრუნდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. ამის შემდგომ მოსამართლემ ჩაატარა არაერთი მოსამზადებელი სხდომა, რიგ შემთხვევებში სხდომის გადადების საფუძველი იყო მხარეთა მორიგება, ასევე ამ პერიოდის განმავლობაში მან იმსჯელა მხარეთა მიერ წარდგენილ არაერთ შუამდგომლობაზე, ასევე საქმეზე მოხდა სააპელაციო საჩივრის დაზუსტება, რაზეც წარდგენილ იქნა მოპასუხის პოზიცია, ბუნებრივია ამ ყოველივემ განაპირობა საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის გაჭიანურებაც.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა. -- -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- -- წარმოებაში 2016 წელს იყო 120 საქმე, საიდანაც დაასრულა 37 საქმე (31%); ასევე არბიტრაჟის 214 საქმე, საიდანაც დაასრულა 144 საქმე (67%); ასევე 110 კერძო საჩივარი, საიდანაც დაასრულა 63 საქმე (57%). მოსამართლე -- -- წარმოებაში 2017 წლის პირველ ნახევარში იყო 148 საქმე, საიდანაც დაასრულა 50 საქმე (34%); ასევე არბიტრაჟის 159 საქმე, საიდანაც დაასრულა 91 საქმე (57%); ასევე 93 კერძო საჩივარი, საიდანაც დასრულდა 37 საქმე (40%). ამდენად, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლის, აღნიშნული საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდის და განსახილველ

საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებების შეფასების მიხედვით, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება საქმის განხილვის ბრალეული „უსაფუძვლო“ გაჭიანურების ნიშნები.

“საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განხორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განხორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან -- სააპელაციო სასამართლოში 2016 წლის 2 სექტემბერს წარადგინა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის ერთი სახის მეორეთი შეცვლის მოთხოვნით, ხოლო მოსამართლემ წარმოდგენილ განცხადებებზე იმსჯელა 2017 წლის 17 ივლისს (შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა), ანუ 10 თვისა და 15 დღის დაგვიანებით. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გარდა იმისა, რომ უნდა შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, მიადგა თუ არა მხარეს ზიანი, კონკრეტული განჩინების მიღების ვადის დარღვევით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად მხარეს, ვადის დარღვევის გამო, რაიმე სახის ზიანი არ მისდგომია.

#### 4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 ხმით - კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით - კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №122/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი